ცნობის ფურცელი

№ 2375 | შაბათი, 10 იანვარი | 1896—1904 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2375

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში განქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

წარმ. 38.

ქართული თეატრი

კვირას, 11 იანვარს 1904 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

დ ა მ ნ ა შ ა ვ ე ა

დრამა 3 მოქმ. ნიკიტინისა

II

პ ა რ ი კ - მ ა ხ ე რ ი ს ა ს

ვოდ. 1 მოქმ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნებიერიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად ნ. **ჩხეიძის საბენეფისოდ** „მუშაკი და ნებიერი“.

რეჟისორი **ა კ ა კ ი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 10 იანვარს, 1904 წ., ბ. ამირჯანის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება

ა ფ რ ი კ ე ლ ი ქ ა ლ ი

ოპერა 5 მოქ. მეიერბერისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ენკვისტ, კარტავინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი ფიგნერი, ილიუშენკო, ამირჯან, თულაევი, კლიუზნერ, სანგურსკი, გრინევი, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ა ნ ო ნ ს ი: 11 იანვ. ორი წარმ. დილით „სნეგუროჩკა“, საღ —ბენეფ. პრიმა-ბალერინას ბიანკა ჯელატოსი; წარმ. იქ. „კამორა“ და ბალეტები“. (ნ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ჟიჟინაძე.—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბე,ბიოსამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბრ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათს 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ე ქ ი მ ი

ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევის 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (ი—6.—29)

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

რუსულ გაზ. „ბირჟევი ვედომოსტი“-ს ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ: „გერმანიის კანცლერმა გრაფ ბიულოვმა სადილის დროს თავის დაახლოვებულ მეგობრებს უთხრა:

„იქნება რუსეთ-იაპონიის დავა მორიგებით გათავდეს. იაპონიის მთავრობას გულწრფელად სწადიან ზავი; რუსეთსაც ხომ, თქმა აღარ უნდა, ომი ძლიერ ეზარება. მაგრამ ამ საქმის გადაწყვეტა იაპონიისა და რუსეთის მთავრობის ხელში როდია. ეს საქმე იაპონიის ერის ხელშია. იაპონიის ერის სურვილს ამ საქმეში უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე იაპონიის მთავრობისას. თუ მთავრობა იაპონიის აღელვებულ ხალხის დამშვიდებას მოახერხებს, მაშინ ზავის მომხრენი გაიმარჯვებენ. თუ არა და აბობოქრებულ ხალხის მოძრაობის ტალღა იაპონიის მთავრობასაც გაიტაცებს“.

გაზ. „ნოვოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: „3 იანვარი. ფიუმედან (ავსტრიიდან) აქ ორი იაპონელი ოფიცერი მოვიდა. ეს ოფიცრები დიდ-ძალ ცხენის სყიდვას აპირებენ ჰუნგრეთში“.

გერმანულ გაზეთის აზრი შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე

გერმანულ გაზ. „ცაიტ“-ს (ვენაში გამოდის) შორეულ-აღმოსავლეთის საქმესა და რუსეთ-საფრანგეთის კავშირზე წერილი დაუბეჭდია. ამ წერილის შინაარსს რუსული გაზ. „ნოვოე ვრემია“ ამნაირად გადმოგვცემს:

„საფრანგეთი საშინელ ყოფაშია ჩავარდნილი. რუსეთთან კავშირმა მრავალ უსიამოვნების გარდა, სხვა არაფერი სარგებლობა არ მოუტანა. ფრანგებმა არ იციან, როგორ მოიქცნენ და რა ითავონ, თუ ვინიცობაა რუსეთს იაპონიასთან ომი მოუხდა. საფრანგეთი ცალკე რუსეთის მოკავშირეა, ცალკე კიდევ ინგლისის მეგობარია. ინგლისთან შეთანხმება ეს არის ეხლა დაიწერა, ჯერ მელანიც-კი არ გამშრალა. ამიტომ საფრანგეთი ყველა სხვა სახელმწიფოზე მეტადა ცდილობს, რომ შორეულ-აღმოსავლეთში ომი არ მოხდეს; ფრანგებს გულით სწადიანთ, ომის მუგუზალი როგორმე ეხლავე ჩააქრონ, ვიდრე არ გაჩაღებულა. მაგრამ იაპონია-რუსეთის მორიგება ევროპაში მარტოდ-მარტო საფრანგეთს სწადიან. დანარჩენ სახელმწიფოებს კი ყველას ერთპირად სწყურიანთ ომი... ყველას იმედი აქვს, რომ ევროპა საშინელ აუტანელ მაჯლაჯუნისაგან განთავისუფლდება“.

„ნოვოე ვრემია“, რაღა თქმა უნდა, საკადრისს პასუხს აძლევს რუსეთის მტერ გერმანულ გაზეთს. „ცაიტ“-ი მდიდარ ურიის როთშილდის ფულით გამოდის და ყოველთვის რუსეთის მტრობასა და ცილის-წამებას უნდებაო, ამბობს „ნოვოე ვრემია“.

კომბის სიტყვა

ამას წინად ვაჭრობისა და მრეწველობის რესპუბლიკელ კომიტეტის ნადიმზე საფრანგეთის პირველმა მინისტრმა კომბმა სიტყვა წარმოსთქვა. ამ ნადიმს პალატისა და სენატის უმეტესობა დაესწრო, დაესწრო აგრეთვე საფრანგეთის ყველა კუთხის რესპუბლიკელთა დიდ-ძალი დელეგატიც. ასე რომ კომბის სიტყვა თითქმის მთელმა საფრანგეთმა მოისმინა, ოვაციებითაც მოისმინა და მოიწონა.

კომბმა თავდაპირველად რეაქციონერების სრული დამარცხება მოიხსენია. რეაქციონერებმა ხალხის შესაშინებლად ყვირილი დაიწყეს, სახელმწიფო კრედიტი ირყევაო, მაგ-

ფელეტონი

ჩვენი ხალხი და ქართულ პრესსის მოვალეობა

ეკონომიური მხარე

…წერლობაში და ლაპარაკშიც ხშირად ბე…ისეთი სიტყვა იხმარება, რომლის შე…ი არ არის ნათლად გარკვეული და …კედ განსაზღვრული. ამიტომ ამგვარ …კებით გამოსახატავი ცნება რჩება იდეი…ბურუსით გარემოცული, რომელშიაც …ეული ჩვენგანი ხედავს—თუ კი საზო…ე ხედავს—მხოლოდ იმას, რაც მას …ჯრება ან, თავისი აზრის დასამტკიცე…ე, მოუხდება. ერთი ასეთი სიტყვაა …ხი“. „ხალხი“, „ხალხის ინტერესები“, …ალხის სამსახური“—ყველას პირზე აკერია …ესსაში და კერძო ლაპარაკშიც; მაგრამ …ვიათად გაიგონებთ გარკვეულ აზრს თვით …ცნების შესახებ, რომლის რეალურ ობიე…ის (ე. ი. ხალხის) „ინტერესების დაცვა“ და „სამსახური“ საპატიო და უმაღლეს მოვალეობადაა ყველასაგან მიჩნეული და აღიარებული. ბევრს ჰგონია, რომ „ხალხი“ წარმოადგენს ორგანიულ ერთეულს, რომლის წევრთა ინტერესები ყველაფერში ჰარმონიულადაა ერთმანეთთან შეთანხმებული და შეკავშირებული. ამიტომ საძნელოს არაფერს ხედავენ საერთოდ ამ ინტერესთა დაცვაში და პრაქტიკულად განხორციელებაში.

ნამდვილად კი ეს ასე არ არის,—ხალხი არაა, ეკონომიურის მხრით, ერთეული და მის წევრთ არა აქვთ ინტერესები შეთანხმებული. ყოველი ხალხი, როცა იგი ნატურალურ მეურნეობის ხანას შორდება, ეკონომიურ დიფერენციაციის, დანაწილების გზაზე დგება და ვითარდება. მასში ჩნდებიან და იზრდებიან სხვა-და-სხვა საზოგადოებრივი ჯგუფნი ანუ კლასები, რომლების ეკონომიური ინტერესები და მისწრაფებანი ერთი მეორესას ეწინააღმდეგებიან. ეს დაყოფვა-დანაწილება და ეკონომიურ წინააღმდეგობის გაძლიერება მაჩვენებელია ხალხის განვითარებისა, მის კულტურულ წინმსვლელობისა. და ის პრესსა, რომელიც ამ მოვლენას არ ხედავს ან ხელს აფარებს,—ცხოვრებას ჩამორჩენილია, თავს ატყუებს და ოცნებით იკვებება. არავითარ პრესსას არ შეუძლია შეუთანხმებელის შეთანხმება და ხალხის ყველა კლასთა ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა.

წინა წერილში ჩვენ გავარკვიეთ და სტატისტიკური ციფრებით დავასაბუთეთ ჩვენში ეკონომიურ დიფერენციაციის სიმცირე, საზოგადოებრივ კლასთა სისუსტე და განუვითარებლობა. მაგრამ განუვითარებლობა არ ნიშნავს სრულიად არ არსებობას. ყოველ მოვლენას, რაც უნდა სუსტი იყოს იგი, თავისი გავლენა და მნიშვნელობა აქვს, რომლის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ჩვენშიაც არსებობს კლასთა ჩანასახი და რამდენადაც დრო მიდის, იმდენად ეს ჩანასახი იზრდება და ძლიერდება, იმდენადვე კლასობრივი განხეთქილება ფართოვდება და ყველასთვის შესამჩნევი ხდება. ჩვენი ხალხის უმრავლესობა სოფლის მეურნე გლეხებისაგან შესდგება, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს, გლეხებს გარდა სხვები არავინ დავინახოთ და მათი როლი და მნიშვნელობა არ გავითვალისწინოთ. გარდა გლეხებისა ჩვენს ხალხს ეკუთვნიან რიცხვით მცირე მემამულეები, ვაჭრები, მრეწველები, ხელოსნები, ნოქრები, მუშები. ყველა ამ ჯგუფთა რეალური მოთხოვნილება ხშირად არის ერთი მეორის წინააღმდეგი და შეუთანხმებელი.

მუშა ხალხისა და მრეწველის ეკონომიური ინტერესები ჩვენშიაც ისე სხვა-და-სხვა და ერთმანეთის წინააღმდეგია, როგორადაც ევროპაში და საზოგადოდ დაწინაურებულ ხალხებში. იქ, საცა იწყებს განვითარებას კაპიტალისტური წარმოების წესი, არ შეიძლება არ წარმოსდგეს ის მოვლენები, რომლებიც თანამყოლი და დამახასიათებელია ამ წყობილების. ადვილი გასაგებია, რომ მშრომელი ხალხი ცდილობს თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას, სამუშაო ქირის გადიდებას და მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებას, ხოლო მრეწველი ერიდება ხარჯს და მოგების შემცირებას. მემამულის ინტერესი მოითხოვს, სოფელში მუშა ხელი ბლომად იყოს, მიწის მოთხოვნილებამ იმატოს და ამან რენტა გაადიდოს; ხოლო მიწათ-მომქმედის ინტერესია—საიჯარო ფასის შემცირება და წასვლა-წამოსვლის თავისუფლება, რომ მას, საცა უნდა, იქ შეეძლოს დაბინავება და ცხოვრების სახსრის მოსაპოვებლად ზრუნვა. ასეთივე წინააღმდეგობაა სხვა ჯგუფთა ინტერესების სფერაშიაც. ვაჭარი, მაგალითად, ფაბრიკულ ნაწარმოებთა შემოტანით და გავრცელებით ხელოსანს მუშტარს აკლებს და ცხოვრებას უძნელებს და სხვა.

ცხადია, პრესსას, რომელიც ცხოვრებას უნდა ხატავდეს და მის მიმდინარეობას კვალდა-კვალ მისდევდეს, არ შეუძლია ამ განწყობილებას ყურადღება არ მიაქციოს და საზოგადოებრივ კლასთა ურთიერთობაში გარკვეული ალაგი არ დაიჭიროს. იგი მხოლოდ მაშინ მოიპოვებს ხალხში მკვიდრ ნიადაგს, როცა თავის მიდრეკილებას გარკვეულად გამოსთქვამს და ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესებს ქომაგობას და მომხრეობას გაუწევს. და რაც უფრო დიდია რიცხვით და სუსტი ქონებით ის ნაწილი ხალხისა, რომელსაც პრესსა სოლიდარობას და თანაგრძნობას გამოუცხადებს, იმდენად ფართო და საფუძვლიანი იქნება მისი ნიადაგი და, ზნეობის მხრივ, მაღალი და სპეტაკი მისი შრომა-ამაგი.

მაგრამ ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ვითომ ჩვენში პრესსა მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ჯგუფს ეკონომიურ ინტერესებს უნდა იცავდეს და სხვებისას ყურადღებას არ აქცევდეს. როგორც ვთქვით, ჩვენში ჯერ საზოგადოებრივ კლასების მხოლოდ ნასახია გაჩენილი და ამიტომ სხვა-და-სხვა ჯგუფთა ინტერესები არაა მტკიცედ გათიშული და განცალკევებული. მოქალაქობრივობა, რომელიც აუცილებელი პირობაა ხალხის კლასობრივ დანაწილების და განვითარებისა, აქ ჯერ კიდევ სუსტია და გაუმაგრებელი. ამიტომ ბევრ გვარი მოვლენა, რომელიც დაწინაურებულ ევროპაში პროგრესის დამაბრკოლებელია, ჩვენში ხელის შემწყობია კულტურისა და წინმსვლელობისა. იქ, მაგალითად, ხელოსნურ წარმოების აღსადგენად შრომა და მეცადინეობა უნაყოფო ჩხირკედელაობად ითვლება, რადგან ტეხნიკის განვითარებამ ხელოსნურ წარმოებას დიდი

რამ ვერაფერს ვერ გახდნენ. სახელმწიფო კრედიტი ასეთ კარგ მდგომარეობაში, როგორც ეხლაა, არას დროს არა ყოფილა. საზოგადოებრივი კრედიტიც მაგარ საფუძველზე დგას. საფრანგეთის ვაჭრობა და მრეწველობაც გაძლიერდა. მართალია ვაჭრობისა და მრეწველობის წარმატებას კერძო კაცებიც უწყობდნენ ხელსა, მაგრამ უმთავრესად კი ეხლანდელმა პოლიტიკურმა წესწყობილებამ შეუწყო ხელი. ეხლანდელი მთავრობა კერძო პიროვნების თავისუფლებას არაფრით არა ჰზღუდავს, პირიქით, იმის მოქმედებას ბეჯითად უწყობს ხელსა.

გარეშე პოლიტიკაზე კომბმა სთქვა: აგერ სრული ოცდაათი წელიწადია, რაც საფრანგეთი მშვიდობიან პოლიტიკას ადგია. ყველა გარეშე სახელმწიფო პატივსა გვცემს, იმიტომ რომ ჩვენ მზადა ვართ, ყოველ წამს ყველას, ვინც კი ჩვენის სახელის გატეხასა, ან ჩვენის სამფლობელოს დაჭერას მოინდომებს, საკადრისი პასუხი გავსცეთ. მშვიდობიანობის დაცვა ყოველ ერის პირველ არსებით მოთხოვნილებას შეადგენს. ყოველი ერი მოვალეა, მშვიდობიანობა და ზავი დაიცვას. საფრანგეთი სულით და გულით ემხრობა მშვიდობიანობას. ჩვენ მარტო ზავსა და მშვიდობაზე ვოცნებობთ.

მონარქისტები, ნაციონალისტები და სხვა რეაქციონერები ეხლა რესპუბლიკისათვის საშიშნი აღარ არიან. ამ რეაქციონერებს ეხლა ძალა აღარა აქვთ. რესპუბლიკას ეხლა მხოლოდ ერთი ძლიერი მტერი-ღა დარჩა— ესაა კლერიკალიზმი. ამიტომ ჩვენ უმთავრესად ამ მტერს უნდა ვებრძოდეთ. კლერიკალიზმმა ყველა რეაქციონერი შეაერთა რესპუბლიკის წინააღმდეგ და ნამდვილი ომი გამოუცხადა ეხლანდელ პოლიტიკურ წესწყობილებას. საბედნიეროდ, რესპუბლიკელთა ოთხი ჯგუფი პარლამენტში შეერთდა და კლერიკალებს მამაცად შეებრძოლა. გამარჯვება რესპუბლიკას დარჩა. კლერიკალები ყველგან დამარცხებულები გამოვიდნენ. რესპუბლიკელები მთლად გააქრობენ კლერიკალების ძალას.

მომავალ სესიის დროს პარლამენტმა თავდაპირველად შემდეგი რეფორმები უნდა შეასრულოს: ორის წლის სამხედრო ბეგარა დააწესოს, მოხუცებულთა და მცირეწლოვანთ დახმარება აღმოუჩინოს, კონგრეგაციებს ყველა სკოლაში სწავლების უფლება აუკრძალოს. ამას გარდა საპარლამენტო კომისიები სხვა საყურადღებო კანონ-პროექტებსაც ამზადებენ. ჩვენ გვწადიან, მუშებს პენსიები დავუწესოთ, შემოსავლის დაგვარად გადასახადი შემოვიღოთ, ეკლესია სახელმწიფოსაგან გავაცალკევოთ, სამხედრო სასამართლოების წესები შევცვალოთ და მუშების სინდიკატებისათვის ახალი კანონი გამოვცეთ. ყველა ეს საქმე სულ მოკლე ხანში უნდა შესრულდეს.

დასასრულ კომბმა ისევ რესპუბლიკელთა ოთხის ჯგუფის ერთობაზე ილაპარაკა და სთქვა: ხვალ ჩვენ ყველამ ერთხმად ჩვენის რესპუბლიკის მშვენება—ბრისონი პალატის პრეზიდენტად უნდა ავარჩიოთო.

რესპუბლიკელთა უმეტესობამ მართლაც შეისმინა კომბის რჩევა და მეორე დღეს პალატის პრეზიდენტად ბრისონი აირჩია.

განხეთქილება ფრანგ რადიკალ-სოციალისტების პარტიაში

როგორც დეპეშამაც გვაცნობა, რადიკალ-სოციალისტების პარტიის 65 დეპუტატმა ახალი პარტია დააარა და სახელად „სოციალისტ რადიკალთა პარტია“ დაარქვა. ახალმა ჯგუფმა თავდაპირველად დეკლარაცია შეადგინა და გამოაცხადა: მთავრობის მომხრე უმეტესობას წინანდებურად მხარს დავუჭერთო. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ჩვენი ჯგუფი სოციალისტების ჯგუფთან თანხმობით უნდა მოქმედებდეს, რადგან სოციალისტების ჯგუფი ყოველთვის ბეჯითად ეხმარებოდა უმეტესობის პოლიტიკას. ჩვენ წინანდებურად რადიკალ-სოციალისტურ პროგრამის ასრულებას ვეცდებით, მთავრობას მაგრად დავუჭერთ მხარს და პალატის უმეტესობასთან რეაქციონერების წინააღმდეგ ვიმოქმედებთ დემოკრატიისა და საერო რესპულიკის სასარგებლოდ.

რადიკალ-სოციალისტების ჯგუფში განხეთქილებამდე სულ 115 დეპუტატი ითვლებოდა. ამბობენ, ამ ჯგუფიდან ახალ „სოციალისტ-რადიკალების“ ჯგუფში 80 დეპუტატი გადავაო.

ჩეხებისა და გერმანელების მოლაპარაკება მორიგების თაობაზე

გერმანულ გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ს დეპეშით ატყობინებენ ვენიდან: გერმანელებმა და ჩეხებმა მოლაპარაკება გამართეს მორიგების თაობაზე. გერმანელებმა შემდეგი წინადადება მისცეს ჩეხებს: გერმანელები თანახმანი არიან, რომ ბოჰემიაში ჩეხების ოლქებში ოფიციალურ ენად ჩეხური გამოცხადდეს, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ ამის თაობაზე კანონი არ უნდა გამოიცეს. მორავიაში ორი ახალი უნივერსიტეტი უნდა გაიხსნას ჩეხებისა და გერმანელებისათვის, მაგრამ გერმანელები არ ამბობენ, რომელ ქალაქში უნდა გაიხსნას ეს უნივერსიტეტები. ჩეხები კი თხოულობენ, ჩეხური უნივერსიტეტი უსათუოდ ბრიუნში უნდა გაიხსნასო. ამას გარდა ჩეხები ამბობენ, ჩეხური ენა ოფიციალურ ენად ბოჰემიაში უსათუოდ კანონის ძალით უნდა გამოცხადდესო. პოლონური პრესსა ურჩევს ჩეხებს, გერმანელების პირობას დასთანხმდითო, უბრალო ოპოზიციით უფრო მალე დასცემთ კერბერის კაბინეტს, ვიდრე ობსტრუქციითაო.

ახალი ამბავი

◆ ამ რამდენისამე ხნის წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე და ითხოვა, **დაებრუნებინა ტფილისისათვის** ის 16,583 მან. 72 კაპ., რომელიც ქალაქმა დახარჯა ვადას ზევით მოსამსახურე ჯარისკაცების ბინების დასაქირავებლად. უმაღლეს მთავრობას შეუწყნარებია ქალაქის თვითმმართველობის შუამდგომლობა და ქალაქს უკანვე უბრუნდება ეს ფული. გუშინ კავკასიის საინტენდანტო გამგეობამ მისწერა ქალაქის გამგეობას, დაწვრილებით შეგვატყობინეთ, ქალაქმა როდის და რამდენი ან რომელ ჯარის-კაცების ბინების დასაქირავებლად დახარჯა ფულიო.

◆ როგორც „კავკაზ.“-ი გადმოგვცემს, **სოხუმის ქალაქის გამგეობის** მეორე წევრად დაუნიშნიათ ექიმი ა. დ. მაჭავარიანი. ამას წინად საბჭომ ეს მაჭავარიანი აარჩია გამგეობის წევრად, მაგრამ სათანადო მთავრობამ ბ-ნ აბულაძესთან ერთად იგიც არ დაამტკიცა.

◆ რედაქციამ მიიღო **„საქართველოს კალენდარი** 1904 წ.“ ვალ. გუნიასი, გამოცემული „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით. კალენდარი თვალ-საჩინოდ არის შესწორებული და შევსებული. მრავალ საკალენდრო ცნობის გარდა, მოთავსებულია ბევრი დიდად საყურადღებო წერილი, მაგ. „სარწმუნოება საქართველოში“, მ. ჯანაშვილისა, „ცა და დედა მიწა“, X—სა, „სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმები“, „უცხოეთის სახელმწიფონი“ (მოთავსებულია მოკლე ცნობები თითქმის ყველა სახელმწიფოს შესახებ), „ენა და ერი“, პ. სურგულაძისა, „ქართულ[ი] მწერლობა“, პ. უმიკაშვილისა, „ქართულ ერის ცხოვრება“, ი. გოგებაშვილისა, „ბრ[ძოლა] წინამძღოლობა ხალხის განათლებაში“, ი. ვარიანელისა, „ვაზის ნაცრისა და ობის წამლობა“, აგრ. შავერდოვისა, „ხვნა და თესვა“, ე. იოსელიანისა, „ცვლილება სოფლის ხალხის ცხოვრებაში“, „საქართველოს მართვა-გამგეობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში“, X—ისა და მრავალი სხვა. არის ბელეტრისტიული ნაწარმოებიც: „არწივი“ (მოთხრობა) ვაჟა-ფშაველასი, ორი ესკიზი ია ეკალაძისა, ლექსები დუტუ-მეგრელისა, აბანოში, სცენა პართენისა და სხვა. კალენდარი სავსეა ჩვენებურ და უცხო ქვეყნის მოღვაწეთა სურათებით. კალენდარი 764 გვერდისაგან შესდგება და ღირს 70 კაპ.

◆ 8 იანვარს ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულომ განიხილა ქალაქის **შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.** საკრებულომ თითქმის მთელი საღამო ამ საქმეს მოანდომა და ბოლოს დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა. ამასთან საკრებულომ აღნიშნა, რომ წელს, ქალაქის მოურავის თავ. არღუთინსკი-დოლგორუკის მეცადინეობით, აღრიცხვა პირველად წარედგინა დროზე საკრებულოსაო.

◆ კავკასიის ადმინისტრაციის განკარგულებით შემუშავებულ იქნა **ახალი პროექტი** წესებისა, რომლის ძალითაც მსურველთ ნება მიეცემათ გახსნან მაგარ სასმელების ტრაქტირები. პროექტები ტფილისის საგუბერნიო მთავრობამ უკვე წარუდგინა კავკასიის უმაღლეს მთავრობას. ახალი წესები შემოღებულ იქნება ამ წლის მეორე ნახევრიდან.

◆ რადგან შვიდის დღის განმავლობაში ბელგიის უსახელო საზოგადოებამ არ გადაუხადა ქალაქის გამგეობას 3190 მან., რომელიც **ჯარიმად დაედო,** გამგეობამ ეს ფული აიღო იმ 56,000 მანეთიდან, რომელიც ქალაქს ბედ აქვს საზოგადოებისაგან. როგორც შევიტყეთ, უსახელო საზოგადოებას ოლქის სასამართლოში ამაზე საჩივარი შეუტანია და სწერს, ქალაქის გამგეობას ნება არა ჰქონდა, ეს ფული ჩემთვის გადაეხდევინებიაო.

◆ **კავკასიის საორგანიზაციო ბიურომ** სან-ლუის მსოფლიო გამოფენის რუსეთის განყოფილებისაგან 2500 მანეთი კიდევ მიიღო კავკასიის ნაწარმოებთა გასაგზავნად გამოფენაზე.

◆ გუშინ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ წარუდგინა ქალაქის გამგეობას გეგმა მტკვრის პირად, კუკიის ხიდის მახლობლად, ტრამვაის **საელექტრონო სადგურისა.** საზოგადოება სთხოვს ქალაქის გამგეობას, მალე დაამტკიცოს პროექტები სადგურის გეგმისა, რომ უსახელო საზოგადოება ეხლავე შეუდგეს სადგურის აგებას.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა გუშინ შეატყობინა ქალაქის გამგეობის წევრებს, საქმის მწარმოებელთ და ბუხჰალტერს, დღეიდან იხელმძღვანელონ 1904 **წლის ხარჯთ-აღრიცხვით,** რადგან ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის საქმეთა საკრებულომ უკვე დაამტკიცაო.

◆ როგორც გადმოგვცეს, ენფიანჯიანცის **თამბაქოს ქარხანაში** მუშებისათვის გაუმართავთ იაფი სასადილო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ბელგიის უსახელო საზოგადოებას, წარუდგინოს დაწვრილებითი ცნობები იმ ადგილის შესახებ, სადაც უნდა აგონ **საელექტრონო სადგური.**

ხანია ნიადაგი გამოაცალა. ჩვენში კი, საცა ხალხი არა იშვიათად თავის სკამს, ტახტს, კიდობანს და სხვა ამგვარებს თავისი ხელით იკეთებს, ხელოსნობის განვითარება და გაძლიერება ეკონომიურ წინმსვლელობას ნიშნავს, რადგან ამით წარმოება სპეციალდება და ადამიანის მოთხოვნილება უფრო კულტურული ხდება. ევროპაში წვრილი ვაჭრების სიმრავლე სახალხო შრომის გაფლანგვად მიაჩნიათ და დაბიო ხალხისთვის ცხოვრების გაძვირების ხელის შემწყობად სთვლიან,— იმიტომ, რომ დიდ სავაჭრო სახლებში და მომხმარებელ ამხანაგობათა მაღაზიებში ხალხი უფრო იაფად და თავისთვის სასარგებლოდ შოულობს იმ ნაწარმოებთ, რომლებიც მას ესაჭიროება. ჩვენში-კი წვრილი ვაჭარი, შეიძლება ვთქვათ, „კულტურტრეგერია“, რომელიც არღვევს ძველებურ კარჩაკეტილობას, უმრავლებს ხალხს, ფაბრიკულ ნაწარმოებთა მიწოდებით, მოთხოვნილებებს და უღვიძებს უკეთესი ცხოვრების გემოს და ტრფიალებას. დაწინაურებულ ქვეყნებში სასოფლო მეურნეობაშიაც გაუმჯობესებულ ტეხნიკას ხმარობენ. და რახან ამისი შეძენა დიდ კაპიტალს მოითხოვს, ამიტომ რაციონალური მეურნეობა მხოლოდ შეძლებულ მემამულეებს აქვთ გამართული. წვრილი გლეხობა შედარებით ძალიან ჩამორჩენილია. ჩვენში კი სულ სხვა მოვლენას ვხედავთ. აქ მსხვილ მემამულეებს არავითარი ტეხნიკური გაუმჯობესება არ შეაქვთ წარმოებაში. შარშან სამეურნეო საზოგადოების ერთ კრებაზე აგრონომმა დემენტიევმა, რომელიც [illegible] სოფლის ცხოვრებისა, [illegible] ტება წარმოებაში და ინტენსიურ მეურნეობის შემოღება ისევ წვრილ მიწათ-მოქმედთ ემჩნევათ და არა მსხვილ მემამულეებსო. ამ აზრს ამტკიცებენ სტატისტიკური ციფრებიც, რომლებიც თავად-აზნაურთა მიწათ-მფლობელობას შეეხებიან. იმ მამულებში, რომლების სივრცე 10 დესეტინას არ აღემატება, ვენახი შეადგენს 15%-ს, სახნავი 65%-ს, 10—25 დესეტინიან მამულებში: ვენახი 4%-ს, სახნავი 60%-ს, 25—50 დესეტინიან მამულებში: ვენახი 2%-ს, სახნავი 52%-ს, 50—100 დესეტინიანში: ვენახი 1%-ს, სახნავი 40% ს, 100—250 დესეტინიანში: ვენახი 0,79%-ს, სახნავი 33%-ს და სხვ. და ასე, რამდენადაც მამული დიდია, იმდენად შედარებით ვენახი და სახნავი მაწა ნაკლებია, ხოლო ტყე და საძოვარი ადგილები მომეტებული.

ერთის სიტყვით, ყველგან დაწინაურებულ ქვეყნებში საწარმოვო ტეხნიკისა და მატერიალურ კულტურის განვითარებას სათავეში უდგანან მსხვილი მემამულეები და მრეწველები; ქართველებში-კი ამ საქმეს მეთაურობენ არც პირველნი და არც მეორენი: მსხვილი მრეწველები ჩვენ არ გვყვანან, ხოლო მემამულეები თვითონ არ ეწევიან მეურნეობას,— იმათ მამულებს გლეხები იღებენ და სადალოდ მუშაობენ. და თუ რამ ნივთიერი წარმატება და წინსვლა ჩვენში სრულდება,— ისევ „წვრილი“, შეძლო ხალხის მეოხებით, რომელიც, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ ციფრებით, დიდძალი უმრავლესობაა ქართველ ერისა.

და, აი, ქართულ პრესის მოვალეობაა ამ უმრავლესობას მიაქციოს ყურადღება და გახდეს მის ნივთიერ და სულიერ საჭიროებათა გამომხატველად.

ფ. გოგიჩაიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ბავშვის მოვლა

(პედაგოგიური წერილები ქართველ დედასთან)

წერილი 8.

„ძუძუ უნდა გავაშვებინო და გული მიკვდება ამ გარემოებითაო, მწერთ თქვენ; მიშველეთ რამე, მირჩიეთ რა ვქნა, რა ზომები მივიღო, რომ მეც გამიადვილდეს და ბავშვმაც აიტანოს თავისი საყვარელ ძუძუს დატოვებაო“. მართლა რომ საფუძვლიანია თქვენი მწუხარება, ბატონო ჩემო! მართლა, რომ ძნელია ბავშვმა დასტოვოს თავისი საყვარელი ძუძუ, რომელსაც წლის განმავლობაში ასე ეკონებოდა, რომელთანაც მუსაიფობდა, ლხინობდა, ხან-და-ხან უჯავრდებოდა კიდეც, თბებოდა და მთელი თავისი არსებით იგი მას ეკუთვნოდა. მაგრამ მაინცა და მაინც უნდა გააშვებინოთ ძუძუ. მე სრულიადაც არ დაგიწყებდით ამ საგანზე საუბარს, რადგანაც ეს საქმე უფრო გიგიენისტების საქმეა, რომ ბავშვის ცხოვრებაში ეს შესანიშნავი ამბავი არ გამოიწვევდეს ხოლმე ხან-და-ხან სრულიად მისთვის ახალ გრძნობას, რომელსაც, თუ შეიძლება ასე დავარქვათ, „ძუძუს გამო დადარდიანებას *) ბავშისას. თუ გაშვებინება უდროვოდ მოხდა, ან კიდევ უეცრივ, ან სხვა საჭმელებთან შეუჩვევლად, მაშინ ბავშვი სუსტდება ხორციელად და ნაღვლიანდება კიდეც მის ჩვეულების ადრე მოსპობისა გამო. არც გასაკვირველია, ბატონო ჩემო! კომპერეს ბრძანებისა არ იყოს, ამ პაწაწინა არსებამ იცის მხოლოდ თქვენი ძუძუ, მას უყვარს იგი მთელი თავისი არსებით, თავისი ძალ-ღონით, იგი ჰფიქრობს მხოლოდ ამ ცხოვრების შადრევანზედ, იგი სიამოვნებს მითი, ხალისიანად უახლოვდება მას და შორდება მხოლოდ იმისათვის, რომ მოისვენოს ამ პაწაწინა ბატონმა და კვლავ ისევ ისე დაუბრუნდეს და ხელ-ახლა ჩაეკონოს თავის საყვარელ ძუძუს. ბავშვი გრძნობს კიდევ კმაყოფილებას თბილი საბანელი[ს], აგრეთვე ჰგრძნობს კმაყოფილებას სა[ს]ნო, ზომიერ ნათელისაგან და მ[ზ]ის დღის ნათელისაგან პირველად სასი[ა]ოვნებაზე; წარმოუდგენელია რამდენ[ს]იამოვნებას ანიჭებს ბავშვს ეს ლაჟვარდოვანი ცა, რომელზედაც ერთმა ბრმად-დაბადებულმა ბავშვმა აპერაციის შემდეგ წარმოსთქვა, რომ ყველაზე უკეთესი ქვეყნიერობაზე [ი]ყოფილაო; ეს წმინდა და სასიამოვნო [ჰ]აერი, ეს სასიამოვნო ველი, ეს მთა, ეს ტყე, ყველაფერი ქვეყნიერობაზედ, მაგრამ ყველა ძუძუსთან შედარებით არაფერი სიამოვნება ბავშვისათვის, ძუძუსაგან წარმომდგარი სიამოვნება და კმაყოფილება—უდიდესი გრძნობაა ბავშვის ცხოვრებაში. პირველი დღეები სიცოცხლისა, როდესაც ბავშვმა ტუჩები ჩაჰკიდა დედის ძუძუს—უდიდესი ხანაა ბავშვის ცხოვრებისა. რასაკვირველია, რამდენი[მე] თვის შემდეგ დაბადებისა ეს გრძნობა ძლიერი აღარ არის, როგორც პირველ [დღე]ებში, რადგანაც ბავშვი ატყდება სხვა სხვა შთაბეჭდილებას, ერთვება იგი, ყველაფერი იზიდავს მას და, როგორც ერთმა [პო]ეტმა სთქვა: „ყველაფერს თვალით სჭამს“, მაგრამ მაინცა და მაინც ძლიერი გრძნობა ძუძუს საყვარლისა სჭარბობს ყველა[ნაირ] გვარ გრძნობას ბავშვისას.

*) იხ. გონებითი და ზნეობითი აღზრდა ბავშვისა თხ. კომპეირე[სი].

✦ 8 იანვარს, საღამოთი, რიყის ქუჩაზე გორანცოვის ძეგლიდან მიდიოდა ვაგონი № 7. სხვათა შორის, ვაგონში იყო ერთი მგზავრი, რომელიც თურმე შექეიფიანებული იყო, მაგრამ არავის არ აწუხებდა. კონდუქტორმა დაუყვირა, ვაგონიდან ჩადიო. მგზავრმა უთხრა, მეც ფულს ვიხდი, რათ უნდა ჩამოვიდეო. როცა ვაგონი სურფ-კარაპეტის აღმართს მიუახლოვდა და კონდუქტორმა ყვირილით ვერა გააწყო-რა, ისე ძლიერ ჰკრა ხელი მგზავრს, რომ ქუჩაში გაინართხა და ქვებს თავ-პირი დაახალა. ამავე დროს დაღმართზე მოექანებოდა ეტლი, რომელმაც წაქცეულ მგზავრს ზედ გადაუარა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

✦ ტფილისის გუბერნატორის კანცელარიამ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ გუბერნატორმა დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომლის ძალითაც ქალაქის სამკურნალოს ავადმყოფის განყოფილებაში მუშაობის ნება მიეცა ექიმს რაფ. ილ. მატრასოვისსათ.

✦ რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: 1. „გრიგოლ ორბელიანის რჩეული ლექსები“, გამოცემული წიგნის მაღაზიის „ცოდნა“-ს მიერ. ფასი 20 კ., 2. „წმ. გიორგის რაში“, გამოც. წიგნის მაღ. „ცოდნა“-ს მიერ, ფასი 5 კაპ; 3. „Добродѣтель въ маскѣ“, კომედია ერთ მოქმედებად ვ. ი. ლანგისა, ფ. 15 კაპ.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „სერგეი მესხის სახელობაზე დასაარსებელს სამკითხველოს და წიგნთ-საცავს შემოსწირეს: თეოდოსია თურქიას ქალმა: 1) თ. ჟორდანიას „ქრონიკები“, 2) ხუთი ცალი ანდერსენის ზღაპრებისა და 3) ფულად 3 მან.; სიმონ, ქეთევან და ილია მესხებმა: „მოამბისა“ და „ჯეჯილის“ ძველი №№ რამდენიმე წლისა, ოცდაათი ცალი სხვა-და-სხვა ქართულ წიგნებისა; ნინო პეტრიაშვილის ასულმა „ჯეჯილის“ ძველი №№“.

✦ ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო საბჭომ გუშინ სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნება მისცეს ექიმს ი. ი. მეფისოვს ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში უჯამაგიროდ იმუშაოს.

✦ ტფილისის საუსხოს კამერამ შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ მეტად ჩამონგრეულია საკლავ-საქონლის დასაყენებელი ბაგი და საჭიროა ფული გადაიდოს იმის შესაკეთებლადაო.

✦ ხორცის დუქნების გამგე-კომისიის თავმჯდომარემ კომისიის კანცელარიის მოხელეთათვის სთხოვა ქალაქის გამგეობას ოთხი უფასო ბილეთი ცხენის რკინის გზისა.

✦ ქვირვმა შაქარაშვილმა სთხოვა ამას წინად ქალაქის მოურავს, ლუკმა პური არა მაქვს და ვსთხოვ ქალაქის გამგეობას, რაიმე დახმარება გამიწიოსო. მოურავმა შაქარაშვილის მდგომარეობის გაცნობა დაავალა სავაჭრო პოლიციის აგენტს ფურცელაძეს, რომლის მოხსენების შემდეგ ქალაქის მოურავმა შაქარაშვილს თავისით შემწეობა აღმოუჩინა და 20 მან. უგზავნა.

✦ ოლგას ქუჩაზე, 3 იანვარს, დილით 10 საათზე, პოლიციის მოხელე გარჩენკო შეზარხოშებული შესულა ერთ მაგარ სასმელების დუქანში, სადაც იმ ჟამად ყოფილა მეარღნე ზაქარია მღებრიშვილი. მარჩენკოს მეარღნესათვის უბრძანებია, დაუკარი არღანიო. მღებრიშვილს პოლიციელის ბრძანება არ შეუსრულებია და უთქვამს, რომ დაუკრა, პოლიციაში წამიყვანო. შეჰყოლიან ლაპარაკს, რომლის დროსაც პოლიციელს უძვრია ხმალი და მღებრიშვილი დაუჭრია თავში და წაუჭრია მარჯვენა ხელის სამი თითი. მღებრიშვილს მიშველებიან ნიკო ხუციშვილი, უფროსი პოლიციელი დავით სელაპანოვი, ვიქტორ თუმანოვი და გადაურჩენიათ.

✦ გუშინ გუბერნატორმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის მოურავს, რომ წინააღმდეგი არ იქნება ქალაქის სამკურნალოს სარფუხის განყოფილებაში უჯამაგიროდ მიწვეულ იქმნას კბილის ექიმი ქალი ს. გ. შერმაზანიანი.

დღევანდელ №-თან ხელის მომწერთ ეგზავნებათ 1904 წ. „**საქართველოს კალენდრის**“ განცხადება.

დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. 9 იანვარს, დილით, ოლქის სასამართლოს შენობაში თავადმა ივანე ალექსანდრეს ძე მაჭუტაძემ, რომელსაც მოქმედებით შეურაცხყოფა მიაყენა ზუგდიდის მომრიგებელმა შუამავალმა თავადმა მიხეილ მელიტონის ძე დადიანმა, სამჯერ რევოლვერი ესროლა დადიანს, მაგრამ ტყვია ააცდინა. თავ. დადიანმაც ესროლა რევოლვერი და ორის ტყვიით სასიკვდილოდ დასჭრა თავ. მაჭუტაძე.

რუსეთის ქრონიკა

✦ „ვარშ. დნ.“ იტყობინება, რომ პრივისლიანის მაზრიდან ებრაელების გადასახლება ამერიკასა და აფრიკაში უკანასკნელ დროს ძალიან გადიდდა. ზოგიერთ ადგილებში 200 ებრაელ ოჯახიდან ეხლა მხოლოდ 30 ოჯახი-ღა დარჩა. გადასახლებულთა რიცხვში დღიურ მუშათა და ხელოსანთა გარდა ვაჭრები და თავისუფალი პროფესიის ებრაელი და ორისავე სქესის ინტელიგენტიც ბევრია. ებრაელთა გაზეთები ამბობენ, რომ მომავალ გაზაფხულზე გადასახლების მსურველთა რიცხვი ძალიან იმატებსო.

✦ ელეცის პოლიცმეისტერმა ქალაქის გამგეობას შეატყობინა ორლოვის გუბერნატორის დადგენილება, რომლის ძალითაც ქალაქის თეატრში სამაზრო სამხედრო უფროსს უფასოდ და სამუდამოდ ადგილი უნდა დაეთმოს. პოლიცმეისტერი, სხვათა შორის, სწერს: „თუმცა ამის შესახებ კანონებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ საზოგადოებაში წესის და მშვიდობიანობის დასაცველად გუბერნატორმა საჭიროდ სცნო სამხედრო უფროსისათვის თეატრში ადგილის დათმობა. სამხედრო უფროსს პოლიცმეისტრის სკამის გვერდით უნდა მიეცეს ადგილი“. („რუსკ. ვედ.“).

✦ კუნძულ სახალინიდან ოდესაში დააბრუნეს ავსტრიის ქვეშევრდომი კაპინოსი, რომელიც სასამართლომ ერთის ქალის ძალათ გაუპატიურებისთვის კატორგაში გაგზავნა. დიდის ხნის შემდეგ ქალმა აღიარა, რომ კაპინოსი უდანაშაულოაო, ნამდვილად კი იგი გააუპატიურა თავის ბიძამ, რომელმაც „გაჩუმებისთვის“ ოთხი თუმანი მისცა. ეს საქმე ეხლა ხელმეორედ უნდა გადასინჯონ.

✦ პეტერბურგს დამზღვევი საზ. „ნიუიორკ“-ის სადგომში შემდეგი დრამა მომხდარა: რამდენისამე წლის განმავლობაში ზემოხსენებულ საზოგადოების მმართველობაში ვინმე ბიზიუკი მსახურებდა: იქ მსახურთა სიტყვით, იგი ვერ ურიგდებოდა უფროსს და სამსახურიდან გამოსვლას აპირებდა. იმ დღეს, როგორც ყოველთვის, ბიზიუკი სამსახურში დროზე მივიდა და თავისი ადგილი დაიჭირა. მალე კონტორის მმართველი ეეკუტოც მოვიდა. ბიზიუკმა ეეკუტოს ლაპარაკი დაუწყო, რაღაცას სთხოვდა, შემდეგ ეეკუტოს სილა გაარტყა, რევოლვერი ამოიღო და იქვე თავი მოიკლა. როგორც იქ მოსამსახურეთ უთქვამთ, თავის მკვლელი პატიოსანი და წყნარი კაცი იყო.

✦ სატეხნიკო და საპროფესიონალო განათლების მოღვაწეთა კრებამ დაადგინა: საკომერციო განათლების გავრცელებისთვის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მსახურთა სამუშაო დღე შემოკლებულ იქმნას.

✦ შობა დღეს ლიპოვეცის მაზრაში, სოფელ ილინეცის მახლობლად, მინდორში სამი გაყინული ბავშვი იპოვეს. აღმოჩნდა, რომ ისინი თავიანთ მამის მსხვერპლნი ყოფილან. მამა იმ ცოტა ხანში დაქვრივდა და ახალგაზრდა ქალის შერთვას აპირებდა; შვილები-კი ხელს უშლიდნენ. შობა ღამეს, 20 გრადუსიან სიცივესა და ქარ-ბუქში მამას თავისი შვილები მინდორში გაუყვანია და იქ დაუტოვებია. უფროსი შვილი ექვსის წლისა იყო, მეორე ოთხისა, მესამე ორისა. ბოროტმოქმედი დააპატიმრეს.

პრესსა

ჩვეულებისამებრ, რუსულ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულია წლიური ანგარიშები, რომლებშიაც იხილავენ წარსულ წლის ცხოვრებას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის მთელი პრესსა ღირსშესანიშნავ წელიწადათ სთვლის 1903 წელს და დაბეჯითებით ამბობს, სანუგეშო ბევრი რამ მოხსნა. სხვათა შორის, აი რასა სწერს დარბაისელი „ვესტნიკ ევროპი“.

რუსეთის საზოგადოებაში ეხლა ისეთივე მოძრაობაა, როგორც მე-60 წლების წინად იყო; ისეთივე მოლოდინია რეფორმებისა, როგორიც „დიდ რეფორმათა ეპოქის“ წინად იყო. მაგრამ ამ მზგავსებასთან განსხვავებაც არის. ეხლა, მე-60 წლებთან შედარებით, უფრო დიდია იმათი რიცხვი, ვინც თვალ-ყურს ადევნებს სახელმწიფო მანქანის მსვლელობასა და მუშაობას, ვისაც შეგნებული აქვს, რა მიმართულებისაა სახელმწიფური მოღვაწეობა, ვისაც გული შესტკივა ქვეყნის საქმეებზე. მიუხედავად იმისა, რომ მე-60 წლებში დაწყებულ სარეფორმო მოღვაწეობას ბევრი დაბრკოლება გადაეღობა წინ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ეცადნენ შეეჩერებინათ ახალ ცხოვრების წინმსვლელობა, ცხოვრებამ მაინც თავისი გაიტანა. წინად უძრავი და უმეცარი ხალხი განათლებისა და თვითშეგნების სინათლემ აამოძრავა. მართალია, ეს სინათლე ჯერ სუსტად ანათებს, მაგრამ ხალხი თანდათან იგნებს გზას. ხალხი ჯერ კიდევ ობიექტია სხვა-და-სხვა ზრუნვისა და ფიქრისა, მაგრამ ამასთანავე ის თანდათან თითონ ხდება სუბიექტად, ესე იგი, თვითონ გამოდის საისტორიო ასპარეზზე და თვით უნდა იზრუნოს თავის თავზე. ამიტომ ამიერიდან მხოლოდ იმ რეფორმებს ექნებათ ძალა და მნიშვნელობა, რომელთ ხალხი თანაუგრძნობს, რომელნიც შეეფერებიან მის მდგომარეობასა და საჭიროებას. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დღეს-დღეობით ხალხის მისწრაფება-სურვილი სრულიად არ ეწინააღმდეგება რუსეთის მოწინავე საზოგადოების თანამედროვე სურვილ-მისწრაფებას. თუმცა მეტად უწესოდ მოხდა 1902 წელს საზოგადოების გამოკითხვა სხვა-და-სხვა საჭიროების შესახებ (სასოფლო-სამეურნეო კომიტეტების დახმარებით), მაგრამ საზოგადოების პასუხი მაინც გარკვეული გამოდგა; საზოგადოებამ მკაფიოდ გამოსთქვა: საჭიროა წოდებათა უფლებრივი გათანასწორება; საჭიროა მტკიცედ იქმნან დაცულნი ადამიანთა უფლებანი კანონის მიხედვით; საჭიროა გაფართოვდეს კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივა სახელმწიფო საქმეებში.

მთელი ლიბერალური პრესსა ამასვე იმეორებს სხვა-და-სხვა სიტყვით. კონსერვატიულ გაზეთებიდან თითქმის ამგვარადვე სჯის „ნოვ. ვრ.“; ეს გაზეთი სწერს: რუსეთი ამ ჟამად ძალას იკრეფს; გასულმა წელმა ცხადათ დაგვანახვა, რომ ვაპირებთ „დიდებულ რეფორმათა ეპოქის“ მუშაობის განგრძობასაო.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ერთ საუკეთესო წარმოდგენად უნდა ჩაითვალოს ამ სეზონში დრამა „დამნაშავის ოჯახი“, წარმოდგენილი ქართულ-დრამატიულ დასის მიერ ხუთშაბათს, 8 იანვარს. თვით დამნაშავის, კორრადოს როლს ასრულებდა ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი და ბოლომდის ხელოვნურად ჩაატარა იგი. ნამეტნავად კარგი იყო მსახიობი მეხუთე მოქმედებაში. იმისმა გრძნობით სავსე თამაშმა ბევრი მაყურებელი აატირა.

„პირველი სიყვარული ბავშვისა არის სიყვარული გასტრონომისა, ამბობს პსიხოლოგი პერე, როდესაც ორი თვის ბავშვზედ ლაპარაკობს. ეს ნამდვილი ცხოველია და მერე როგორი?—საშინელი ღორ-მუცელა... მე თავის დღეში ვერ წარმომედგინა, რომ პაწაწინა ბავშვი ასეთი დიდი ღორ-მუცელა შენებოდა. ამისათვის გარეშე ჭამისა არაფერი არ არსებობს. თუ იგი ჭამაშია გართული, მას ვერაფერი მიიზიდავს“. „წარმოიდგინეთ მეცხრე და მეათე თვეებშიაც-კი, ამბობს პეიერი *), ბავშვს ყველაზე ძალიან საჭმელი აინტერესებს, ვინემ არ გაძღება, იგი მოუსვენრად გრძნობს თავის თავს, ჯავრობს, კბენს და ქუხს“. აი ამისთვისაც არის, რომ ბავშვი ყველაფერს პირისაკენ მიაქანებს, რასაც-კი ხელთ იგდებს, სწოვს თავის თითსა, ან დედისას, ან ათვალიერებს—მოიგდოს რამე ხელში, რომ პირისაკენ გააქანოს. „ჩვენ ვნახეთ, ამბობს კომპერე **) ერთი ბავშვი, რომელმაც შენიშნა თუ არა, რომ ფანჯარას ვაკაკუნებდით, ტუჩები მიაწდრიკ-მოაწდრია, პირი გააღო, თითქო ეს ხმაურობა უნდა დაიჭიროს და გადაჰყლაპოსო“. ღორ-მუცლობა—ეს პირველი ვნებაა ბავშვისა და ბევრი ხანიცა რჩება ეს გრძნობა მის კუთვნილებად, ისაც არის, რომ ბავშვი უფრო ბევრსა სწოვს, ვინემ საჭიროება მოითხოვდეს. იგი ჯავრობს კიდეც დედაზედ, ბრაზობს, თუ ვინიცობაა მისმა ძუძუმ არ დააკმაყოფილა იგი. ამასთანავე შურიანიც რომ ხდება ეს ბატონი?! ტიდემანი გვიამბობს, რომ მისმა შვილმა სრული უკმაყოფილება გამოაცხადა, როდესაც თავისი დედის ძუძუსთან სხვა ბავშვი დაინახა: იგი აღელდა, გაჯავრდა და ხელების შლით ცდილობდა ეს დაუპატიჟებელი სტუმარი მოეშორებინა როგორმე.

მაგრამ მიუხედავად იმისა რომ, ძნელია ბავშვმა დასთმოს თავისი საყვარელი ძუძუ, თქვენ მაინცა და მაინც უნდა გააშვებინოთ ემიკოს ძუძუ. საქმე მხოლოდ იმაშია, თუ როდის და როგორ მოახერხოთ ეს ძნელი საქმე? უეჭველია ეს კითხვა ძალიან გაინტერესებთ თქვენცა და თქვენთან ერთად ყველა ახალგაზრდა დედას. სხვა თქვენზედ უფრო „გამოცდილი“ დედა ადვილად ახერხებს ამას: აილებს ძუძუს თავზედ წაისვამს ქინაქინას, ან დარიშხანას, ან საქონლის განავალს (ესაც ხშირად მოხდება ხოლმე ჩვენში), აუზიზღებს ბავშვს ძუძუს და მორჩა და გათავდა. ამის შედეგზედ იგი სრულიადაც არა ჰფიქრობს ამ დროს ბავშვი ავათაც რომ გახდეს, ამ ავადმყოფობის სხვა მიზეზს რასმე გადააბრალებს და ნამდვილ მიზეზს-კი სრულიადაც არ მიაქცევს ყურადღებას. თქვენ-კი, მოწყალეო ხელმწიფევ, ამ კითხვის გადაწყვეტაში ბევრი რამ საგულისხმიერო გარემოება უნდა მიიღოთ მხედველობაში და უწინარეს ყოვლისა, ის თუ თქვენს ემიკოს ამოეჭრა თუ არა 8 კბილი, ოთხი ზევით და ოთხი ქვევით, ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ დრო არის თქვენი ვაჟ-კაცი ძუძუს მოაშოროთ; მეორე კიდევ მოამზადეთ თუ არა ემიკო ძუძუს დატოვებისთვის, ე. ი., შეაჩვიეთ იგი თუ არა სხვა საჭმელსაც, გარდა დედის რძისა, რომ მას ადვილად ავაცდინოთ ყველა სახიფათო შედეგი ძუძუს დატოვებისა. თუ თქვენს ბიჭს 8 კბილი ამოეჭრა, თუ თქვენი ბიჭი, გარეშე დედის ძუძუისა, სხვა საჭმელსაც შეექცევა, მაშინ რაღა დაგიშლით, აიღეთ და გააშორეთ იგი ძუძუს. მხოლოდ ეს კი გახსოვდეთ, რომ ძუძუს გაშვებინება 8 თვეზე ადრე არ უნდა მოახდინოთ, უფრო კი უკეთესია წლის თავზე. ერთი სიტყვით: 1) თქვენს ემიკოს უეჭველად 8 კბილი უნდა ჰქონდეთ ამოჭრილი—ეს უტყუარს ნიშანია ძუძუს გაშვებისა; 2) ბავშვი უნდა სხვა საჭმელსაც იყვეს შეჩვეული, რომ მან ძუძუ ადვილად დასთმოს: იგი უნდა შეჩვეული იყოს ძროხის რძეს, წვენს (ბულიონს) ფრანგული ფუნთუშით*) ან ორცხობილათი**); 3) წელიწადის დროსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ძუძუს გაშვებინებაში: ზაფხულში, მეტადრე თბილ ქვეყნებში, ძალიან სახიფათოა ძუძუს გაშვებინება, შეიძლება ფაღარათობა დაემართოს და ცუდი შედეგი მოჰყვეს და ესეც რომ არ იყვეს—ძროხის რძე ძნელი შესანახია ზაფხულში; მე გირჩევთ თქვენს ემიკოს გააშვებინოთ ძუძუ გაზაფხულში, ან შემოდგომაზე, ან ზამთარში. ერთი ორი თვით სჯობიან დააგვიანოთ ძუძუს გაშვებინება, ვინემ ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში მოახდინოთ ეს ამბავი, მეტადრე სოფელში, სადაც გაჭირვების დროს ექიმსაც-კი ვერ იშოვნით; 4) ამ დროს უეჭველად ბავშვი საღათ უნდა იყვეს, მეტადრე კუჭი უნდა კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდეს.

ახალა საქმე იმაშია, ბატონო ჩემო, ერთბაშად გავაშვებინოთ ბავშვს ძუძუ, თუ ნელ-ნელა? ამის შესახებ მრავალი სჯა და ბაასია ექიმთა და გიგიენისტთა შორის. მე აქ არ შევუდგები მათი აზრების გადმოცემას. მხოლოდ ამასა გთხოვთ საშუალო ღონისძიებას მიმართოთ: ამოირჩიეთ დასაწყისად რომელიმე დღე და ამ დღიდან ნელ-ნელა აცოტავეთ ძუძუს ძლევა. დღეს რომ 4-ჯერ მოაწოვოთ, ხვალ 3-ჯერ მიეცით ძუძუ, მერე ორჯერ და ერთს დღეს სრულიად მოუსპეთ ძუძუს ძლევა. უეჭველია, პირველ ხანებში იტირებს იგი, ცოტა არა შეწუხდება, თქვენც, უეჭველია, დამილონდებით, იქნება ცრემლიც კი დააფრქვიოთ თქვენი მოსიყვარულე თვალებიდან, მაგრამ თქვენი ემიკო მალე მიივიწყებს თავის საყვარელს ძუძუს და თქვენი დანაღვლიანებული გულიც დამშვიდებას მიეცემა, ჩემო კარგო ბატონო!

ალ. ნათაძე

*) იხ. სული ბავშვისა თხ. პრეიერისა.

**) იხ. გონებითი და ზნეობითი განვ. ბავშვისა—თხ. კომპერესი.

*) ფუნთუში—თეთრი პური—რუსები რომ „булка“-ს ეძახიან.

**) ორცხობილა—რუსები უძახიან ამას „сухарь“; იქნება ეს სიტყვები ვისმე ეუცხოვოს, მაგრამ ყველაფერს შეჩვევა უნდა—ჩვენი მამა-პაპანი ამასა ხმარობდნენ, ძველ წიგნებშიაც არის ეს სიტყვები და კარგადაც ჰხატავს სიტყვას „сухарь“ ე. ი. ორჯერ გამომცხვარი პური.—მაგრამ ამ ორ გვარ პურში ისევ სახმარებლად ფრანგულ ფუნთუშას ვამჯობინებ. უნდა ნაჭრებად დაიჭრას, მერე კარგად გახმეს და წვრილ-წვრილად წვენში დალბობილი მიეცეს ბავშვს. ეცადენით, რომ ეს პური მჟავე არ იყვეს. ესევე გამხმარი ფუნთუში რომ საღრღნელად მისცეთ ბავშვს, ამითაც არა დაშავდება-რა, მხოლოდ ყურის გდება უნდა, რომ დიდი ნაჭერი არ გადაყლაპოს და სასულეში არ წაუვიდეს.

გვენი იყვნენ აგრეთვე ქ-ნ ტ. აბაშიძე პატარა ემმას (კორრადოს ქალი) როლში და ქ-ნი კარგარეთელი—როზალიას (კორრადოს ცოლი) როლში. თეატრი თითქმის სავსე იყო საზოგადოებით.

—

ქუთაისი 6 იანვარს ქართულ დრამატიული საზოგადოების დასმა წარმოადგინა პირველად ახალი პიესა „ხალხის მტერი“ ანუ „ექიმი შტოკმანი“, იბსენის დრამა. მიუხედავად იმისა, რომ 6 იანვარს ქუთაისის საზოგადოება ორ-სამს ადგილას იყო საქველმოქმედო საღამოსა, ცირკსა თუ სხვაგან,—წარმოდგენამ მაინც იმდენ საზოგადოებას მოუყარა თავი, რომ თეატრი თითქმის სავსე იყო. არც გასაკვირველია, რადგან საზოგადოებას ჰსურდა თავის თვალით ენახა სცენაზე ის პიესა, რომლის შესახებაც მას ბევრი ქება გაეგონა. პიესა მართლაც ძლიერ მოეწონა საზოგადოებას. იმის აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონდა; ყოველს ასე თუ ისე საგულისხმო წინადადებას, აზრს ტაშის ცემითა და „ვაშა, შტოკმან“-ის (თვითონ მსახიობთ კი იშვიათად ახსენებდნენ) ძახილით ეგებებოდა. თუმცა მსახიობნი როლის უცოდინარობითა და პიესის შეუგნებლობით საზოგადოთ სუსტობდნენ, მაგრამ ვის ეცალა იმათის სისუსტის შესამჩნევად. პიესის დიდმა შინაარსმა წვრილმანი ნაკლულევანებანი სულ დაჰფარა, დაჩრდილა, და „ექიმ შტოკმანმა“ რაღაც ნაირად მოაჯადოვა მთელი საზოგადოება, იმისი ყურადღება შეიპყრო, შეჯაქვა. მოთამაშეთაგან ყველაზე უფრო მოეწონა საზოგადოებას ბ-ნი გედევანოვი (პეტრე შტოკმანი, ქალაქის თავი); საზოგადოდ მოხდენილად ასრულებდა ასლაკსენ მესტამბის როლს ბ-ნი აწყურელი. ბ-ნი კონსტ. მესხი კარგი ექიმი შტოკმანი იყო უკანასკნელს მოქმედებებში. ქ-ნნი მდივანი და რონელი ლამაზად თამაშობდნენ შტოკმანის შვილების ეილიფისა დ მორტენის როლს. ბ-ნი ზარდალიშვილი ძლიერ სუსტობდა „სახალხო მოამბის“ გამომცემლის გოფსტადის როლში; იმისი გრიმი, მიხვრა-მოხვრა და ლაპარაკი უფროსისაგან შეშინებულ ნოქარს უფრო მოგვაგონებდათ, ვიდრე გაზეთის რედაქტორ-გამომცემელს.

კარგი იქმნება, რომ დრამატიული დასი ამ პიესას ხელ-მეორედ წარმოადგენდეს ქუთაისში. დარწმუნებით შემიძლია ვსთქვა, რომ საზოგადოება ეხლანდელზე მეტი დაესწრება.

დონ-ვალიანი.

წერილი გორიდან

ჩვენი სამკითხველო.—საქველ-მოქმედო კონცერტი.—წარმოდგენა.

რაც ითქვა გაზეთებში გორის სამკითხველოს შესახებ, თუმცა ზოგი რამ გაზვიადებულია, მაგრამ თითქმის ყველაფერი მართალი ყოფილა. მოგეხსენებათ ყველა უკუღმართობას თავისი გამომწვევი მიზეზი აქვს. გორელებს სამკითხველოს გამგედ თავიანთ შორის რომ ვერავინ უშოვნიათ, ამდგარან და უცხო კაცი მოუწვევიათ. რა თქმა უნდა, სამკითხველოს ისე მოაწყობდა, როგორც თვით ეპიტნ-ეპრასიანებოდა. და აი, ამის შემდეგ სრულიადაც აღარ მიკვირს გაზეთებში წაკითხული ამბავი: გორის სამკითხველოში ქართველ მწერლების სურათები არ არის, ქართული ჟურნალ-გაზეთები სანთლით საძებნელიაო. შენც, მკითხველო, იმედია, დღეის იქით აღარ გაგიკვირდება ამ სამკითხველოს შესახებ თუ აუგს გაიგონებ. „კარგი რამ სჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!“.

6 იანვარს კლუბში რუსული საქველ-მოქმედო კონცერტი იქმნა გამართული. მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ...ორნი: ქ-ნი ე. ი. მიტკევიჩ-ანდრეევსკისა და ბ-ნი ადასოვი, რომელთაც ათიოდე სიმღერა შეასრულეს. საზოგადოებას სიმღერები კიდევ სწყუროდა, მაგრამ ორ ადამიანს მეტი არ მოეთხოვებოდა. საზოგადოება ბლომად დაესწრო. შემოსავლის ნახევარი საქალაქო სასწავლებლის სასარგებლოდ იყო გადადებული. ადგილობრივ პოლიციას, რა დაუნახავს მცხოვრებთა გულგრილობა, ერთი შემდეგი აზრი მოსვლია: როდესაც რამე საქველმოქმედო წარმოდგენა იმართება, პოლიცია თვითვე აწყობს ბილეთებს კონვერტებში და ურიგებს მცხოვრებთ იმის დაგვარად, ვინ რა შეძლებისაა. რა თქმა უნდა, ზოგნი თვითაც ჰჯიღულობენ.

4 იანვარს სცენის მოყვარეებს წარმოუდგენიათ „პატარა კახი“ და „ღაგვის ბრალია“. ხემის მხრით წარმოდგენის შესახებ ვერას ვიტყვი, რადგან არ დავსწრებივარ. მაგრამ გატეხილი სიტყვა სჯობს, ცუდი ხმები დადის. რამდენმამე ახალგაზდამ გადმოშლა: შეჰბღალეს ის ხელოვნების ტაძარი, რომელსაც თეატრი ჰქვიანო. მაინც, ეს დალოცვილის შვილები რად გამოსძებნიან ხოლმე ასეთს ძნელს წარმოსადგენს პიესებს! ადვილი ასახსნელი კია. ყოველს სუსტს არსებას თავისი თავი უძლიერეს კაცად მოაქვს და სცდილობს დიდ რამეს შეებრძოლოს, რა არის სხვასაც ძლიერი ვეგონოთ. მაგალითისათვის შორს ნუ წავალთ და ბიძია კრილოვის ფინია გავიხსენოთ.

ვ. გიუნაშვილი

სასამართლო

—

დღეს, 10 იანვრისთვის, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: კონდრატ ბემიასა, კვირიტ და დიონოზ ჭურღულიებისა, რომელთაც ყაჩაღობა ჰბრალდებათ, ნადეჟდა ნანუკოვისა, იოსებ, თეიმურაზ, ლევან და გიორგი ზაუტაშვილებისა, რომელთაც სხვის ადგილის მითვისება ჰბრალდებათ, ნიკოლოზ გიგაურისა, რომელსაც პოლიციელის შეურაცხება ჰბრალდება, და სხვ.

—

15 იანვრისთვის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე სომეხთა არქიმანდრიტის ეგიშე მურადიანისა, რომელსაც ბეჭდითი სიტყვით ჯანფოლადოვის ცილის დაწამება ჰბრალდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 **იანვარი**

ალაგირი. მოსკოვის სახელმწიფო გზის გამგეობამ თავის მსახურთა და მუშების გონიერ გასართობისთვის ერთ-ერთი სახლოსნო გადააკეთა თეატრად, რომელიც 500 კაცამდე იტევს.

ტომსკი. ჟურნალის „გორნ. ი ზოლოტოპრ. იზვ.“-ს პირველი ნომერი გამოვიდა.

ევპატორია. გემი „სვიატოი ნიკოლაი“ 100 საათის განმავლობაში იყო გარიყული. ეხლა ზღვაში გავიდა.

ტიანძინი. ვიცე-კოროლმა იუანშიკაიმ მტკიცედ გადასწყვიტა, თუ ომი მოხდა, ჩილის და მანჯურიის პროვინციების საზღვრების დასაცველად დონისძიება იხმაროს და 20.000 ჩინელ ჯარის კაცს საზღვარზე გადაყვანისთვისაც ზომები მიიღოს.

ტოკიო. საიდუმლო საბჭომ მოიწონა სასწრაფო განკარგულება, რომლის ძალითაც საზღვაო სადგურების უფროსებს უფლება ეძლევათ პოლიტიკის გამწვავების დროს უცხოელთა სამხედრო გემებს ზოგიერთ ნავთსადგურებში შემოსვლის ნება არ მისცენ და თუ საჭიროება მოითხოვს, ძალაც იხმარონ.

ტოკიო. შეუდგნენ მუშაობას მოკლე ვადიან შინაგან სესხის ასაღებად. სახელმწიფო კასაში ხალხს თავის ნებით შეაქვს ფული.

ვაშინგტონი. დღეს სენატში შემოიტანეს კანონ-პროექტი პანამის შეერთებულ შტატებთან შეთერთების შესახებ და ამასთან თხოულობენ შემდეგ კრედიტს: 10 მილ. დოლლარს პანამის რესპუბლიკისთვის თავის ტერიტორიის დათმობისთვის, $1^1/_2$ მილ. დოლარს კოლუმბიის ზარალის ასანაზღაურებლად და 50 მილ. დოლარს პანამის არხის საზოგადოებისათვის საჭირო მასალის სასყიდლად.

პარიზი. 7 იანვარს ელზე ნელიდოვი ელისეს სასახლეში დიპლომსტთა სადილზე იყო. რესპუბლიკის პრეზიდენტი და დელკასე დიდხანს და გულწრფელად ელაპარაკებოდნენ მას. სადილის შემდეგ დიპლომატიურ კორპუსის წევრებმა ახალ ელჩს ნელიდოვს სალამი უძღვნეს და თანაგრძნობა და პატივისცემა გამოუცხადეს.

კიევი. საპოლიტექნიკო ინსტიტუტი გაიხსნა.

კილი. აქედან სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში საექსპედიციო რაზმი გაიგზავნა. პრინცმა ჰენრიხმა სადგურზე მოკლე სიტყვით მიჰმართა ჯარს.

ვენა. ბოსნიასა, გერცოგოვინასა და ტიროლში დიდი ქარბუქია. დასავლეთ ბოსნიაში ფოსტის მიმოსვლა შეწყვეტილია.

რომი. გერმანია-იტალიის სავაჭრო ხელშეკრულების მოლაპარაკება შესაძლებელია იანვარში დამთავრდეს.

9 **იანვარი**

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა შემდეგი უმაღლესი ბრძანება: „ვცანით, რომ 1861 წლის 19 თებერვლის დებულებამ, რომელმაც გლეხთა წოდებას მიანიჭა პირადი თავისუფლება და უზრუნველ ჰყო იგი მიწათ-მფლობელობის მხრივ, ზოგიერთი მხარე განახლებულ სოფლის ყოფამდგომარეობისა უყურადღებოდ დასტოვა და კანონის მხრივ არ განსაზღვრა; ამიტომ ბრძანება გავეცით, გადასინჯათ აწმოქმედი კანომდებლობა გლეხთა შესახებ. საკეთილოდ ვცანით ამ გადასინჯვას სარჩულად დასდებოდა ის მთავარი საფუძველნი, რომელიც 1861 წლის რეფორმას დაედო. როგორც 1903 წლის 26 თებერვლის მანიფესტში ნათქვამი, ამ გადასინჯვის დროს უნდა დაიცვან ხელუხლებლობა გლეხთა სათემო მიწათ-მფლობელობის წეს-წყობილებისა იმ პირობით კი, რომ თვითეულ გლეხს გაუადვილდეს თემიდან გასვლა. ამ საქმის განსახორციელებლად საჭიროდ ვცანით ამავე დროს დაცულ იქმნას გლეხთა წოდებრივი წყობილება და ის, რომ გლეხთა სანადელო მიწა ხელუხლებელი იყოს. ამისთვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტები ახალ კანონდებულებებისა გლეხთა შესახებ. ეს პროექტები, ჩვენისავე მანიფესტის თანახმად, გადაეცემა ადგილობრივ საგუბერნიო საბჭოებს დაწვრილებით შესამუშავებლად და ადგილობრივ პირობებთან შესათანხმებლად. ამის გამო ვუბძანებთ: 1) შესდგეს საგუბერნიო საბჭოები საგლეხო კანონდებულებათა გადასასინჯავად იმ გუბერნიებში, სადაც შემოღებულია დებულება საერობო უფროსთა შესახებ, და აგრეთვე კიევისა, ვოლინისა და პოდოლის გუბერნიებში; 2) საგუბერნიო საბჭოების თავმჯდომარეებად გუბერნატორები იქნებიან, წევრებად: თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლნი, სამოქალაქო უწყების ადგილობრივ გამგეობათა უფროსნი, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, საგუბერნიო საკრებულოს მუდმივი წევრი ან მთავრობის მხრივ დანიშნული წევრი საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოსი, საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარე, თავად-აზნაურობისა და ერობის წარმომადგენელნი, ერობის უფროსნი, ოთხზე არა ნაკლები, აგრეთვე ისინი, რომელნიც თავიანთ გამოცდილებით და ცოდნით საქმეს ხელს შეუწყობენ; 3) თავად-აზნაურთა წარმომადგენლებად გუბერნატორმა უნდა მოიწვიოს ისინი, ვისაც დაასახელებს თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების საკრებულო, ამასთან თითო მაზრიდან მოწვეულ უნდა იქმნას არა ნაკლებ ერთის წევრისა; იმ გუბერნიებში, სადაც თავად-აზნაურთა წარმომადგენლობა არ არსებობს, თავად-აზნაურობის მხრივ გუბერნატორმა უნდა მოიწვიოს წევრები თავად-აზნაურთა წინამძღოლებთან შეთანხმებით იქ, სადაც წინამძღოლები არიან; 4) ერობის მხრივ წევრებად გუბერნატორმა უნდა მოიწვიოს სამაზრო საერობო ხმოსნები, თითო მაზრიდან თითო კაცი; 5) საგუბერნიო საბჭოებმა საქმეების განხილვისა და საქმის წარმოების დროს უნდა იხელმძღვანელონ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ ინსტრუქციით. უმართებულესმა სენატმა მოახდინოს ამის შესასრულებლად შესაფერი განკარგულება“. ნამდვილზე მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილია.—„**ნიკოლოოზ**“. ცარსკოე სელო 8 იანვარი 1904 წელი“.

„პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: „3 ამა იანვარს საიმპერატორო საექსპერიმენტალო მედიცინის ინსტიტუტის ლაბორატორიაში შავი ჭირის საწინააღმდეგო პრეპარატების მომზადების დროს (პრეპარატები მზადდება კრონშტადსა და სხვა სიმაგრეებს სრულიად მოწყვეტილ ფორტზე იმპერატორ ალექსანდრე I) ავად გახდა ლაბორატორიის გამგე ვ. ი. ტურჩინოვიჩ-ვიჟნეკევიჩი, რომელიც შავი ჭირის ბაცილებს იკვლევდა. აღმოჩნდა, რომ ლაბორატორიის გამგე შავ-ჭირით გახდა ავად. თუმცა ექიმობას გულმოდგენით შეუდგნენ, ავადმყოფი 7 იანვარს მაინც გარდაიცვალა. ყველას, ვინც ავადმყოფს ხვდებოდა, და აგრეთვე ლაბორატორიის მოსამსახურეებს შავი-ჭირი აცრეს. 6 იანვარს ფორტში მოვიდა გენერალ-მაიორი თავადი ორბელიანი, რომელიც მისმა უმაღლესობამ პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურსკიმ ფორტის კომენდანტათ დანიშნა. თავადმა ორბელიანმა ზომები მიიღო, რომ ფორტის მსახურნი ნაპირზე არ გადავიდნენ და არც ნაპირიდან ფორტზე მივიდეს ვინმე“.

ნიკოლაევის აკადემიის ორდინარი პროფესორი გენერალ-მაიორი ზოლოტარიოვი დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ სტატისტიკო კომიტეტის დირექტორად.

გენერალ-მაიორს თავად ოდოევსკი-მასლოვს გენერალ-ლეიტენანტობა ებოძა და 1 გვარდიის ცხენოსანთა დივიზიის უფროსად დაინიშნა.

ტვერი. სამხედრო უწყების მრავალ წარმომადგენელთა თანადასწრებით გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს ტვერის გუბერნატორად ნამყოფს თავად გოლიცინს, რომელმაც [illegible] ყველა მცხოვრებთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

პორტ-არტური. ნამესტნიკის უქველმწვრდომილესს მილოცვაზე ხელმწიფე-იმპერატორისაგან მიღებულია შემდეგი საპასუხო დეპეშა: „გულითად მადლობას ვუძღვნი ჯარს, მეზღვაურთ, სამოქალაქო უწყების მოხელეებს და შორეულ-აღმოსავლეთის მცხოვრებთ მილოცვისა და კეთილ გრძნობების გამოცხადებისთვის. ღმერთმა აკურთხოს რუსეთი და მიანიჭოს მშვიდობა და კეთილდღეობა დამდეგ წელს. **ნიკოლოოზი**“. ეს დეპეშა წაკითხულ იქმნა პარადზე. ყველანი სიხარულით მიეგებნენ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარეთ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამმაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერივან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპანამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპანამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

—

გამოვიდა და იყიდება

საბერძნეთის ძველი ისტორია

პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან, თარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათი და ორის რუქით. ფასი ერთი მან.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკ[illegible]

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის **პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მიკრობიოლოგიური განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва